Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#15, იანვარი, 2021

რუსული დეზინფორმაციული კამპანიის მიზნები ბელარუსში 2020 წელს განვითარებული მოვლენების მიმდინარეობისას

ლიკა შათირიშვილი

თამარ ხუციშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tamar.khutsishvili805@sps.tsu.edu.ge
L.shatirishvili777@gmail.com

აბსტრაქტი

დეზინფორმაცია რუსეთის ხელში არსებული მძლავრი იარაღია, რომელსაც წარმატებით მიმართავს საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის. რუსეთის დეზინფორმაციულ კამპანიას მრავალი სამიზნე ყავს, რომელთაგან ერთ-ერთი დღეს ბელარუსია. 2020 წლის 9 აგვისტოს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელთა შედეგებიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ აღიარა. შედეგები არც ევროპარლამენტმა ცნო. ქვეყანაში საპროტესტო აქციების ხანგრძლივი სერია დაიწყო, რომელიც მთავრობის ძალადობის მიუხედავად, თვეების განმავლობაში არ წყდებოდა. მასობრივი აქციები მხოლოდ ზამთრის მიწურულს დასრულდა. ბელარუსში განვითარებული პროცესების პარალელურად, რუსულმა საინფორმაციო და ანალიტიკურმა სააგენტოებმა აქტიურად დაიწყეს დეზინფორმაციის გავრცელება.

რუსეთის დეზინფორმაციული პოლიტიკა წლებია, რაც დარგის ექსპერტთა კვლევის საგანია. მიუხედავად ამისა, აკადემიურ ლიტერატურაში შეინიშნება აშკარა სიმცირე შრომებისა, რომელთა უშუალო ფოკუსიც ბელარუსში 2020 წელს განვითარებული მოვლენებია. სწორედ ამიტომ, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, გამოავლინოს აღნიშნული დეზინფორმაციული კამპანიის მთავარი მიზანი. კვლევის ძირითადი ამოცანებია: (ა) რუსული დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითების იდენტიფიცირება, (ბ) მათი ანალიზის საფუძველზე, დეზინფორმაციის ძირითადი ნარატივების გამოვლენა და ბოლოს - (გ) რუსეთის მიზნების განსაზღვრა.

ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა სხვადასხვა ტიპის წერილობითი და ვიზუალური წყარო, კერძოდ, მაღალჩინოსანთა განცხადებები (მარია ზახაროვა), რუსულ სამთავრობო საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალებზე (Первый Канал, RT, ФАН, Россия 1, Россия 24, Sputnik და ა.შ) განთავსებული სტატიები და გადაცემები; საჯარო დოკუმენტები, ანგარიშები და დარგის ექსპერტთა პუბლიკაციები. გამოვლენილი საერთო ნარატივების მიხედვით, საპროტესტო გამოსვლების უკან დასავლური ძალები დგანან, რომლებიც განგებ ცდილობენ ბელარუსის დესტაბილიზაციას. დეზინფორმაციის მიზნების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ჯოზეფ ნაის რბილი ძალის კონცეფცია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთი დასავლური და პროდასავლური ძალების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, რათა რუსეთს მიეცეს შესაძლებლობა, წინ აღუდგეს დასავლეთის გავლენის გაფართოებას და ხისტი ძალის გამოუყენებლად შეძლოს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, ბელარუსი, დეზინფორმაცია, პოსტსაბჭოთა სივრცე, რბილი ძალა.

შესავალი

რუსეთი წლებია, რაც საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის ინფორმაციულ ომში არის ჩაბმული და აქტიურად აწარმოებს დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ საქმიანობას. მას დღესდღეობით უკვე ღიად ამხელენ ცალკეული სახელმწიფოები და ორგანიზაციები. ილუსტრაციისთვის, ევროპარლამენტის მიერ 2016 წლის 23 ნოემბერს მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც რუსეთის ფედერაციას ევროპის კავშირის წინააღმდეგ წარმოებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ძირითად წყაროდ ასახელებს (Europarl 2016). გარდა ამისა, ჯერ კიდევ 2012 წელს ჰაქტივისტურმა დაჯგუფებამ, Anonymous-მა გამოააშკარავა რუსეთის მიერ "ანტირუსული ინფორმაციის დისკრედიტაციის, კრემლისტული მესიჯების ინტერნეტში გავრცელებისა და პროკრემლისტური განწყობის ჩამოყალიბების მიზნით პროფესიონალი ტროლების დაქირავების შემთხვევები", რაც მედიის ყალბი კონტენტით გადავსების გზით, არა მხოლოდ პროკრემლისტური განწყობების ფორმირებას ისახავდა მიზნად, არამედ საზოგადოებაში შიშის, ეჭვისა და არასტაბილურობის გაჩენას (გოცირიძე, 2019). დამატებით, რუსეთს ამხელს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის 2017 წლის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი დეზინფორმაციის გზით ზეგავლენას ახდენს ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე (Office of the Director of National Intelligence, 2017). გამონაკლისი არც ბელარუსი აღმოჩნდა.

ბელარუსი რუსეთის მოსაზღვრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც თავის მეზობელთან საკმაოდ ახლო ურთიერთობაშია. ილუსტრაციისთვის, ორივე სახელმწიფოს 1999 წლიდან ხელმოწერილი აქვს ხელშეკრულება რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რომელიც ქვეყნებს შორის ღრმა იტეგრაციას გულისხმობს. მართალია, ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესი სრულად წარმატებული არ არის, თუმცაღა, დღევანდელ დღემდე რუსეთი ბელარუსისათვის ყველაზე დიდ და ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტ-ეკონომიკურ პარტნიორად რჩება. ბელარუსის საგარეო პოლიტიკურ კურსს განაპირობებს ქვეყნის პირველი პირი, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, რომელიც ქვეყნის სათავეში 1994 წლიდან დგას და ევროპის უკანასკნელი დიქტატორის სახელითაა ცნობილი (The Economist, 2021). ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ლუკაშენკომ ეროვნული სიმბოლიკა საბჭოთა სიმბოლიკით ჩაანაცვლა, ეკონომიკა საბჭოთა მოდელზე დატოვა, ქვეყანაში კი ცენზურის შემოღება და ოპონენტების დევნა დაიწყო. ამასთან, მისმა მმართველობამ დიდი დარტყმა მიაყენა ბელარუსულ იდენტობას, რამდენადაც პრეზიდენტმა ქვეყანა რუსიფიკაციის გზით წაიყვანა (GISP 2020).2020 წლამდე ლუკაშენკო ქვეყანაში შედარებით სტაბიულურობას ინარჩუნებდა, რასაც დიდ წილად მედიის მკაცრი კონტროლითა და პოლიტიკური რეპრესიების გზით ახერხებდა. მას ბრალს დებენ სულ მცირე - 4 პოლიტიკურ მკვლელობასა და ათობით პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრებაში (Atlantic Council, 2020). ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა 2020 წლის აგვისტოში, როდესაც ქვეყანაში უპრეცენდენტოდ მასშტაბური საპროტესტო დემონსტრაციების სერია დაიწყო, რომელიც თვეების განმავლობაში არ წყდებოდა.

2020 წლის 9 აგვისტოს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელთა თანახმადაც, ლუკაშენკომ ხმათა 80%-ზე მეტი მოიპოვა (Statista, 2020). აღნიშნული არჩევნების შედეგები მოსახლეობის ნაწილმა არ აღიარა. შედეგები არც ევროპარლამენტმა ცნო. არჩევნების ხელახლა ჩატარების მოთხოვნით ბელარუსში საპროტესტო აქციების ხანგრძლივი სერია დაიწყო. საპროტესტო დემონსტრაციების დასაშლელად პოლიციამ წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, ხმოვანი ყუმბარები და ხელკეტები გამოიყენა. მოცემული პროცესების პარალელურად გარდაიცვალა ექვსი ადამიანი (European Parliament 2020), მათ შორის 31 წლის რამან ბანდარენკა, რომელიც პოლიციამ სასტიკად სცემა. ჯამურად კი დააპატიმრეს 30 ათას ადამიანზე მეტი, რომელთა უმრავლესობა მინსკის საპატიმროებში იქნა მოთავსებული, სადაც დაკავებულებს ფიზიკურად უსწოდებოდნენ. (Crowcroft, 2020).

ბელარუსი ის ქვეყანაა, რომელსაც წლებია, ღიად პრორუსი მთავრობა მართავს. შესაბამისად, ქვეყანაში 2020 წელს განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც ყოველდღიურად ათიათასობით ადამიანი მმართველი ძალის ცვლილებას მოითხოვდა, რუსეთის ეროვნულ ინტერესებს, აშკარა საფრთხე შეუქმნა. მოსკოვისთვის მიუღებელია საპროტესტო აქციების შედეგად ლუკაშენკოს ხელისუფლებიდან ჩამოცილება, რამდენადაც ერთი მხრივ, რუსეთი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში ბელარუსში დასავლეთის პოზიციები გაძლიერდება, ხოლო მეორე მხრივ კი, ბელარუსში „ხავერდოვანი რევოლუციის“ გამარჯვება გააძლიერებს საპროტესტო ტალღას თვითონ რუსეთშიც, რაც, ბუნებრივია, ამჟამინდელი მმართველი წრეებისთვის ყოვლად დაუშვებელია. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მოსკოვში ლუკაშენკოს რეჟიმის დახმარების გადაწყვეტილება მიიღეს. ილუსტრაციისთვის, რუსეთის ფედერაციამ ბელარუსს 1.5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოუყო. დამატებით, მოსკოვმა მინსკში მიავლინა პიარტექნოლოგები, სამხედრო მრჩევლები და ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები (GFSIS 2020). გარდა ამისა, რუსეთმა თავისი პროპაგანდისტული მანქანა აამუშავა, რის შედეგადაც რუსულმა საინფორმაციო და ანალიტიკურმა სააგენტოებმა აქტიურად დაიწყეს დეზინფორმაციის გავრცელება.

მართალია, ბელარუსში მასობივი საპროტესტო აქციების სერია შეწყდა, თუმცაღა, რუსული დეზინფორმაციული მედიასაშუალებები კვლავაც აქტიურად განაგრძობენ მუშაობას. მიუხედავად ამისა, ბელარუსში განვითარებული მოვლენები რუსული დეზინფორმაციული კამპანიის ჭრილში ნაკლებად არის შესწავლელი. მაშინ, როცა ერთი მხრივ, რუსეთის დეზინფორმაციული პოლიტიკის მოქმედების არეალის ზრდა, ხოლო მეორე მხრივ - ჯერაც მიმდნარე დაძაბულობა ბელარუსში, მოცემულ ქეის კვლევის აქტუალურ საგნად აქცევს.

მოცემული კვლევის მიზანია, ახსნას, ბელარუსში 2020 წელს განვითარებული მოვლენების პარალელურად მიმდინარე რუსული დეზინფორმაციული კამპანიის კონკრეტული მიზნები. კვლევის ძირითადი ამოცანებია: (ა) რუსული დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითების იდენტიფიცირება, (ბ) მათი ანალიზის საფუძველზე, დეზინფორმაციის ძირითადი ნარატივების გამოვლენა და ბოლოს - (გ) რუსეთის მიზნების განსაზღვრა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საერთაშორისო ურთიერთობებში დეზინფორმაციის კვლევის საკმაოდ ხანგრძილი ტრადიცია არსებობს. ამ საკითხმა არა ერთი მკვლევარის ყურადღება მიიქცია. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ედვარდ ქარია, რომელმაც სახელმწიფოთა მიერ პროპაგანდისტული აპარატის ამუშავება ხელსაყრელი პოლიტიკის წარმოების ახლებურ იარაღად შერაცხა. მისი განმარტების თანახმად, პროპაგანდა გამოიყენება მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მათი განწყობილების ან დამოკიდებულების შესაცვლელად. საერთაშორისო ურთიერთობებში ტყუილის ფენომენს ჯონ მირშაიმერიც შეისწავლიდა, თუმცა ის უფრო მეტად ფოკუსირებული გახლდათ უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული სიცრუის შესწავლით.

პროპაგანდის ძალაზე მსჯელობდა ჯოზეფ ნაიც, რომელმაც რბილი ძალის კონცეფცია ჩამოაყალიბა. კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოებს სასურველი შედეგის მიღწევა ხისტი ძალის გარეშე, პროპაგანდითა და შესაბამისი დიპლომატიური სვლებითაც შეუძლია (Cour, 2017). ნაის მიხედვით, „რბილი ძალა“ საკუთარ თავში მოიაზრებს სახელმწიფოს უნარს, პოზიტიური დამოკიდებულებებისა და განწყობების შექმნით, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო აქტორებზე და განახორციელოს საკუთარი პოლიტიკური მიზნები. აღსანიშნავია, რომ კონტექსტის გარეშე რბილი ძალა თავისი ბუნებით არც პოზიტიური მოვლენაა და არც ნეგატიური: მისი შეფასება სრულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას ისახავს მიზნად, რა საშუალებებით იქმნება და რა მოაქვს შედეგად. ამასთან, საკუთარი რბილი ძალის გაზრდა შესაძლებელია ან პოზიტიური ქმედებით, რაც საკუთარი მიმზიდველობის ობიექტურად გაზრდას გულისხმობს, ან - ნეგატიურით, როდესაც აქტორი საკუთარი მოწინააღმდეგის რბილი ძალის შესუსტებას ცდილობს. თვალსაჩინოებისთვის, მოწინააღმდეგეების „განიარაღებისთვის“ შესაძლოა, გამოყენებული იქნას ინფორმაციული ომი, რითაც თავდასხმა მოხდება მათ ღირებულებებზე, რის საფუძველზეც, მათი რბილი ძალა შესუსტდება და სხვა აქტორების თვალში ისინი ნაკლებად მოსაწონნი გახდებიან (Nye, 2017). სწორედ აღნიშნული კონცეფცია შეირჩა მოცემული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ.

რაც შეეხება უშუალოდ რუსეთს, მისი საგარეო პოლიტიკისათვის დეზინფორმაციის წარმოება და ინფორმაციული ომები რომ დამახასიათებელია, ამაზე თითქმის ყველა ანალიტიკოსი თანხმდება. პიტერ მეტისონის და მარგარიტა ჯაიტნერის თანახმად, რუსეთი წლებია, დეზინფორმაციულ პოლიტიკას ეწევა; ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესთან ადაპტირებული, დეზინფორმაციას მრავალი ახალი იარაღით აწარმოებს (Jaitner, Mattsson, 2015) მიმდინარე საუკუნის განმავლობაში რუსეთმა ამ სტრატეგიას რამდენჯერმე მიმართა, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევები დღემდე აქტუალურია. ძირითადად შემთხვევებში რუსეთი ილაშქრებს დასავლური კულტურისა და საკუთარი თავი კეთილისმოსურნე ძალად წარმოაჩინოს. თუ ერთ-ერთ კვლევას დავუჯერებთ, პუტინი ცდილობს საკუთარი თავი ე.წ "მხსნელად" წარმოაჩინოს, აღმოსავლეთ ევროპული ერების უანგარო დამცველად, რომელიც ცდილობს ეს ქვეყნები დასავლური ქვეყნებიდან მომდინარე გავლენისგან დაიცვას. (Rrustemi, Wijk, Dunlop, 2019) ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის თიერი ტარდი, მიიჩნევს, რომ რუსული დეზინფორმაციული პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა Covid19-ის პანდემიის მიმდინარეობისას, ვინაიდან პუტინს

გაუჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ ისედაც არასტაბილურ მდომარეობაში მყოფი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის უფრო მეტი ზიანის მიყენება მოეხერხებინა. 2020 წლის იანვრიდან დაწყებული, პუტინი აქტიურად ცდილობდა "დაენერგა კიდევ უფრო მეტი დაბნეულობა და პანიკა კორონა ვირუსის არსებობასთან დაკავშირებით, არა მარტო უკრაინაში თუ სხვა მოსაზღვრე ქვეყნებში, არამედ ნატოს წევრ ქვეყნებშიც, სადაც კორონა ვირუსის მიერ მიყენებული ზიანი ყოველთვიურად იზრდებოდა". ტარდის აზრით, რუსული დეზინფორმაციული პოლიტიკა მხოლოდ იმ ქვეყნებზე არ ვრცელდება, სადაც რუსეთს საკუთარი გავლენის გაზრდა ან შენარჩუნება სურს, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც ის საკუთარი პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეებად აღიქვამს. ტარდის დასკვნა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსული დეზინფორმაციის მრავალმხრივობას, ანუ იმას, რომ ის შესაძლოა ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ მიზნებს ემსახურებოდეს. (Tardy, 2020) ზემოხსენებული კვლევები საკმაოდ მცირე ნაწილია იმ მასალებისა, რომლებიც რუსული დეზინფორმაციული პოლიტიკის მოქმედების სტადიებსა და მიზნებზე საუბრობს. თუმცა, აკადემიურ ლიტერატურაში საკმაოდ იშვიათად თუ შევხვდებით იგივე შინაარსის კვლევას უშუალოდ ბელარუსში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ერთეულ კვლევებში საკმაოდ გაკვრითა და მოკლედ თუ იქნება საუბარი რუსეთის მიერ ინფორმაციული ომის გაჩაღებაზე ბელარუსის წინააღმდეგ.

2016 წლიდან მოყოლებული დღემდე, რუსული ინფორმაციული ომი და დეზინფორმაციის ოდენობა უფრო და უფრო იზრდება, საკითხი საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია, შესაბამისად აუცილებელია, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს და უკეთ იქნეს შესწავლილი რუსული დეზინფორმაციის ეს კონკრეტული ასპექტი. ვფიქრობთ, რომ ეს აკადემიურ ლიტერატურაში არსებული აშკარა სიცარიელეა, რომლის შევსებასაც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ემსახურება.

მეთოდოლოგია

კვლევის ხასიათი წმინდად თვისებრივია, კვლევის წარმოება ამ შემთხვევაში ემსახურება ძირითადად პრობლემის ახსნას. თვისებრივი დიზაინი გამოირჩევა უფრო ღია და მოქნილი სტრუქტურით, დამახასიათებელია კულტურულ-ისტორიულ კომპონენტებსა და კონტექსტზე ყურადღების გამახვილება, საკითხის თითოეული ნაწილის სიღრმისეული კვლევა. მონაცემების შეგროვების ძირითადი ხერხი გახლდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დოკუმენტებისა და ვიზუალური წყაროების შესწავლა, ანუ კონტენტ-ანალიზი, უფრო კონკრეტულად კი - რუსულ სამთავრობო საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალებზე განთავსებული სტატიების, გადაცემების, საჯარო დოკუმენტების, ჩანაწერების, სტატიებისა და ექსპერტთა პუბლიკაციების. დამატებით, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მაინტერპრეტირებელ შემთხვევის შესწავლას, რომლის ფარგლებშიც ხდება საკვლევი მოვლენის ინტერპრეტირება უკვე შემუშავებული თეორიის დაკავშრებით საკვლევ რეალობასთან (Odell 2001). როგორც ვიცით, თვისებრივი კვლევისათვის დამახასიათებელია მონაცემების რამდენიმე სახეობის წყაროს არსებობა. რუსული დეზინფორმაციული პოლიტიკის თითოეული გამოვლინება შესაბამისად გაანალიზდა, შემდეგ კი დაჯგუფდა, სწორედ ასე მოხდა პოლიტიკის ნარატივების გამოვლენა. ამის შემდეგ კი გაადვილდა ნარატივებსა და რუსული პოლიტიკის მიზნებს შორის პარალელების გავლება. ანალიზის შედეგები წარმოდგენილია შესაბამისი ლოგიკური მსჯელობის სახით. კვლევისა და მონაცემების ვალიდურობა

დამოწმებულია მისი კოლეგებთან გაზიარებით. ამასთან ერთად თემის შესასწავლად და მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულია სხვადასხვა ადეკვატური და აკადემიური წყაროები, რაც მეტნაკლებად ზრდის კვლევის ვალიდურობას. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ არჩეულ იქნა ჯოზეფ ნაის ნეგატიური რბილი ძალის კონცეფცია.

დეზინფორმაციული კამპანიის კონკრეტული მაგალითები და ძირითადი ნარატივები

სტატიის მოცემული ნაწილი, დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითების დემონსტრირების საფუძველზე, დაეთმობა ძირითადი ნარატივების გამოვლენას, რათა შესაძლებელი გახდეს რუსეთის მიზნების იდენტიფიცირება.

ბელარუსის ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ბელარუსის „პრაიმ-ტაიმ“ კონტენტის 49 % რუსეთშია წარმოებული. ამასთან, მოცემული კონტენტი ცალსახად პრორუსული და ანტიდასავლური ნარატივებით ხასიათდება (baj.by, 2019). მიუხედავად ამისა, საპროტესტო აქციების დაწყებასთან ერთად ბელარუსულ სატელევიზიო ეთერში განსაკუთრებით თვალშისაცემად გაიზარდა მოწვეული პრორუსი ექსპერტებისა (მაგ. ალექსანდრ მალკევიჩი - ეროვნული ღირებულებების დაცვის ფონდის პრეზიდენტი) და კომენტატორების რიცხვმა. ყველა სამთავრობო ბელარუსული არხი კი კრემლისტური არხების სინქრონულად და იდენტურად ამაუწყებლდა. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რამდენადაც საპროტესტო აქციების დაწყებასთან ერთად ბელარუსულ მედიაში მასობრივად დაიწყო ოპოზიციურად განწყობილი ბელარუსების რუსეთის სამთავრობო არხებზე მომუშავე ჟურნალისტებითა და სპეციალისტებით ჩანაცვლება (ძირითადად „RT“, „Звезда“, „ВГТРК“ და „НТВ-დან“.). აღსანიშნავია, რომ მოცემული ფაქტი თავად ლუკაშენკომაც დაადასტურა, როდესაც არა ერთხელ გააჟღერა თავისი მადლიერება რუსი ჟურნალისტებისა და რუსეთის ელჩის მიმართ. ამის პარალელურად, აქტიურად ხდებოდა სხვა უცხოური მედია-წარმომადგენლების ქვეყნიდან დეპორტირება ან მათთვის აკრედიტაციის შეჩერება (Meduza, 2020). ამდენად, აშკარაა, რომ რუსეთი მაქსიმალურად შეეცადა, ბელარუსში მედიამაუწყებლობა თავისი კონტროლის ქვეშ აეყვანა და მისთვის ხელსაყრელი რიტორიკა გაევრცელებინა.

ცალკეული რუსული და ბელარუსული მედიასაშუალებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთი საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს რუსულ დეზინფორმაციას, არის მტკიცება იმისა, რომ საპროტესტო დემონსტრაციების უკან დასავლეთი დგას. მაგალითისთვის, „Первый канал“ რუსეთის სამთავრობო და ყველაზე პოპულარული არხია, რომელსაც მსოფლიოს გარშემო 250 მილიონზე მეტი მაყურებელი ყავს (Channel One Russia. International broadcasting, 2021). აღნიშნული არხის ეთერში გადის პოლიტიკური თოქ-შოუ „60 минут“, რომლის 10 აგვისტოს გადაცემაში, არჩევნებიდან მეორე დღეს, ითქვა, რომ მოვლენები ბელარუსში მეიდანის სცენარით ვითარდება, კერძოდ, საპროტესტო აქციები არა ბელარუსი ხალხის, არამედ დასავლეთის მიერაა ორგანიზებული (60 минут, 2020).

კიდევ ერთი პოპულარული ნარატივი, რომელიც აღნიშნული არხის ეთერში გაჟღერდა, იმაზე მიუთითებს, რომ ოპოზიციას ამოფარებული დასავლეთი ცდილობს, ბელარუსი რუსეთს ჩამოშოროს. ილუსტრაციისთვის, „Время покажет“ პოლიტიკური თოქ-შოუა, რომლის ეთერშიც, 2020 წლის 10

აგვისტოს, გაჟღერდა მტკიცება, რომ დასავლეთის მთავარი მიზანია, დააშოროს ბელარუსი რუსეთს და გაანადგუროს ბელარუსისა და რუსეთის სამოკავშირეო სახელწიფო. აღნიშნულის რეალიზებისთვის კი, პირველი არხის თქმით, დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია საპროტესტო აქციების ინიცირება და ლუკაშენკოს დამარცხებაა ("Время покажет", 2020).

აღნიშნული ნარატივს უერთდებიან სხვა მედიასაშუალებებიც. კერძოდ, ახალი ამბების ფედერალური სააგენტო (Федеральное агентство новостей) - რუსული ინტერნეტ გამოცემა, რომელსაც რუსი მილიარდერი, ევგენი პრიგოჟინი აფინანსებს („პუტინის მზარეული"). პრიგოჟინი ასევე აფინანსებს „ინტერნეტ-კვლევების სააგენტოს", რომელიც აშშ-ის ნაციონლური დაზვერვის 2017 წლის ანგარიშში ერთ-ერთ უმსხვილეს ტროლების ფერმადაა დასახელებული. ამასთან, თვითონ ახალი ამბების ფედერალური სააგენტო რუსეთის ფედერაციის ციფრული განვითარების, კავშირისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტროს მიერ სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციული სააგენტოების სიაშია შეტანილი. ამავე სიაში არიან: „TACC", „Россия сегодня", „Российская газета" და ა.შ (Литвиненко, 2020). ФАН-მა 2020 წლის 15 სექტემბერს სტატია გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ დასავლეთმა რუსეთს ჯერ საქართველო და უკრაინა დაუპირისპირა, ხოლო ახლა კი ბელარუსშიც იმავე სცენარით მოქმედებს. თუმცაღა, სტატიაში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთმა საწადელს არათუ ვერ მიაღწია, არამედ პირიქით - ხელი შეუწყო ბელარუსს, კიდევ უფრო მეტად დაახლოებოდა რუსეთს (Ольга Тимошина, 2020).

საინტერესოა, რომ ამავე ნარატივს უერთდება მარია ზახაროვა - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი. ზახაროვამ 2020 წლის 13 აგვისტოს ბრიფინგზე განაცხადა, რომ დასავლური ძალები განგებ ცდილობენ ბელარუსში ვითარების დესტაბილიზაციას (Sputnik на русском, 2020). მოცემული ნარატივი რამდენჯერმე განმეორდა „Первый канал-ისა" და „Россия 1-ის" ეთერებში. მაგალითად, პირველი არხის ვერსიით, ბელარუსის დესტაბილიზაციას ლიეტუვა, ლატვია და პოლონეთი ცდილობენ, ხოლო „Россия 1-ის" ეთერში გასული გადაცემა „Вести-ის" მიხედვით კი ბელარუსის საპროტესტო აქციების უკან პოლონეთი დგას (Meduza 2020, 16 აგვისტო).

კიდევ ერთი ნარატივი, რომელიც ხშირად შეინიშნება დეზინფორმაციულ გამოცემებში, ბელარუსში აპოკალიფტური სცენარების განვითარებაზე მიუთითებს. კერძოდ, ხდება დამახინჯებული პარალელების გავლება მაიდანთან და იმგვარი გაფრთხილებების ტრანსლირება, რომლებიც ლუკაშენკოს ჩამოგდების შემთხვევაში ბელარუს ხალხს მხოლოდ სიღარიბესა და გაჭირვებას უქადიან. მაიდანთან პარალელი რუსული და ბელარუსული სამთავრობო არხების უმრავლესობამ გაავლო: „Россия 24-ის" მიხედვით, ბელარუსში ვითარება უკრაინის მსგავსი დადგმული სცენარით ვითარდება(Россия 24, 2020, 17 აგვისტო); „Россия 1-ის" მტკიცებით კი ბელარუსში დასავლეთის იგივე ხელწერა შეინიშნება, რაც უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს (Россия 1, 2020, 12 აგვისტო). ამავე ნარატივს იმეორებს მთავარი ბელარუსული არხი "Беларусь 1", რომლის ახალი ამბების ეთერში ექსპერტები ირწმუნებიან, რომ საპროტესტო აქციების უკან გარე ძალები დგნან (АТН: новости Беларуси и мира, 2020, 18 აგვისტო), მოვლენები ბელარუსში კი სწორედ ფერადი რევოლუციების სცენარით ვითარდება (АТН: новости Беларуси и мира, 2020, 17 აგვისტო).

დამატებით, ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს აქტიურად მიმდინარეობდა ოპოზიციის ლიდერების - სვეტლანა ტიხანოვსკაიას, მარია კალესნიკოვასა და ვერანიკა ცეპკალას დისკრედიტაცია. კერძოდ, მედიასაშუალებები იუწყებოდნენ, რომ ბელარუსული ოპოზიციის ქალი ლიდერების უკან ევროპელი ფემინისტები იდგნენ, რომლებიც ბელარუსში ტრადიციული ოჯახური ფასეულობების მსხვრევას ისახავენ მიზნად (EU vs DISINFORMATION, 2020).

საინტერესოა ისიც, რომ საპროტესტო აქციების განმავლობაშირი რუსული წყაროები აქტიურად ცდილობდნენ, მიმდინარე მოვლენების მასშტაბი შეემცირებინათ და საპროტესტო დემონსტრაციები იმაზე გაცილებით უმნიშვნელო მოვლენად გაეშუქებინათ, ვიდრე რეალურად იყო. ამის მაგალითია RT-ს სიუჟეტები. RT რუსეთის სამთვრობო არხია, რომელიც ექვს ენაზე მაუწყებლობს და საერთაშორისო აუდიტორიაზეა გათვლილი. 2020 წლის 23 აგვისტოს არხის კორესპონდენტმა, კონსტანტინე პრიდიბაილომ განაცხადა, რომ საპროტესტო აქციებზე ხალხის ოდენობა სულ უფრო და უფრო მეტად მცირდებოდა (Meduza, 2020). და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში თვეების მანძილზე ბელარუსის ისტორიაში უპრეცენდენტოდ მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. გარდა ამისა, RT-ს მიერ ჟღერდებოდა არა ერთი დეზინფორმაციული ნარატივი, რომელთა სამიზნედაც ევროკავშირი იყო ამოღებული. მაგალითისთვის, RT-ს მტკიცებით, მოქმედი მთავრობის ჩამოგდების მცდელობა სანქციების, პროპაგანდისა და გარე წნეხის გზით ევროკავშირისთვის უკვე ტრადიციული პრაქტიკაა (RT на Русском, 2020). როგორც უკვე აღინიშნა, არხი ძირითადად უცხოურ აუდიტორიაზეა გათვლილი, რუსულად კი გადაცემათა შედარებით მცირე ნაწილი გადის. თუმცა ბელარუსის მოვლენები მათ შორის ყველაზე ხშირად გადაცემაში „Прекрасная Россия бу бу бу-ში“ შუქდებოდა. გადაცემაში მოწვეული ექსპერტების ყველაზე ტიპურ ჯგუფს ძირითადად ყოფილი უკრაინელი პოლიტიკოსები წარმოადგენდენ, რომლებმაც ევრომაიდანის შემდეგ რუსეთში დაიწყეს მოღვაწეობა. მათგან ყველაზე ცნობილი ყოფილი პრემიერი, ნიკოლაი აზაროვი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბელარუსში განვითარებული მოვლენების უკან ევროკავშირი და აშშ დგანან, რომლებიც იმავე მეთოდებით მოქმედებენ, რომელთაც საქართველოსა და უკრაინაში მიმამართავენ. ამავე პოზიციას აჟღერებდნენ სხვა მოწვეული ექსპერტები, კერძოდ, ყოფილი უკრაინელი დეპუტატი - ვლადიმირ ოლეინიკოვი, პოლიტოლოგი - როსტისლავ იშჩენკო, პოლიტიკოსი - ტატიანა მონტიანი და ა.შ (iSANS, 2020).

დასკვნა: დეზინფორმაცია, როგორც რუსეთის რბილი ძალის წყარო

დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითების გამოვლენის შედეგად, შესაძლებელი გახდა რუსეთის დეზინფორმაციული კამპანიის ძირითადი ნარატივების გამოვლენა, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს:

1. ოპოზიციის ლიდერების უკან დასავლეთი დგას, რომელიც ტრადიცულ სლავურ ფასეულობებს უპირისპირდება.

2. ბელარუსში დაწყებული საპროტესტო გამოსვლები დასავლური ძალების მიერ არის ორგანიზებული.

3. დასავლეთის მიზანია, ბელარუსი რუსეთს ჩამოაშოროს.

4. ლუკაშენკოს ჩამოგდების შემთხვევაში ბელარუსს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო სირთულეები ელის.

ძირითადი ნარატივების იდენტიფიცირების საფუძველზე უკვე შესაძლებელია იმ ძირითადი მიზნების დადგენა, რომლებიც რუსეთის დეზინფორმაციულ კამპანიას ამოძრავებს. აღნიშნულის რეალიზებაში დაგვეხმარება თეორიული ჩარჩო, კერძოდ, ჯოზეფ ნაის რბილი ძალის კონცეფცია.

მცირე ისტორიული ექსკურსით რომ დავიწყოთ, ცივი ომის დასასრთულთან ერთად, როდესაც აშკარა გახდა, რომ ნატო და ევროკავშირი გაფართოებაზე უარის თქმას არ აპირდებდნენ, რუსეთმა თავისი რბილი ძალის ფორმირება დაიწყო, რომელიც ტრადიციონალიზმსა და სუვერენულობის კონცეფციას დააფუძნა (Nye, 2017). დღევანდელ დღემდე რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, წინ აღუდგეს ევროკავშირისა და ნატოს გაფართოებას. აღნიშნულის რეალიზებისთვის კი რუსეთს სართაშორისო აქტორების მხრიდან მაღალი ხარისხის კეთილგანწყობები და დადებითი დამოკიდებულებები სჭირდება, რომლებიც გადაწონის აშშ-ისა და ევროკავშირის მიმართ არსებულ დადებით განწყობებს. აღნიშნულ მტკიცებას უდაოდ ამყარებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის 2008 წლის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რბილი ძალის მექანიზმი რუსული გავლენის ექსპორტის ყველაზე კარგი საშუალებაა (Российская газета 2008).

მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, საკუთარი რბილი ძალის გაზრდა რთული ან თითქმის შეუძლებელია?! ასეთ დროს არსებობს მეორე გზაც, კერძოდ, მოწინააღმდეგეთა რბილი ძალის შესუსტება. ინფორმაციულ ომში ჩაბმა კი აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. დეზინფორმაცია რუსეთის ინფორმაციული ომის მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც, ერთი მხრივ, დემოკრატიული ინსტიტუტების, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურებისა და მთავრობების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად; ხოლო მეორე მხრივ - რუსეთის მიმართ კეთილგანწყობების გაზრდას.

ბელარუსში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული რუსული დეზინფორმაციის ძირითადი ნარატივების გამოვლენისას, ვრწმუნდებით, რომ თითოეული ზუსტად პასუხობს რუსეთის ზემოთ დასახელებულ მიზნებსა და ამოცანებს. როდესაც რუსული მედიასაშუალებები აქტიურად აცხადებენ, რომ ბელარუსში განვითარებული საპროტესტო გამოსვლების უკან დასავლური ძალები დგანან, რომლებიც განგებ ცდილობენ ქვეყანაში არეულობის შექმნას, კრემლი ამით ცდილობს (ა) ბელარუსში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები არალეგიტიმურად გამოაცხადოს, (ბ) დასავლეთი „მზაკვარ და ბოროტ“ ძალად გამოიყვანოს, (გ) დასავლურ გაერთიანებებში ინტეგრირება წამგებიან და ნეგატიურ პერსპექტივად დასახოს. ყოველივე ამის საბოლოო მიზანი კი დასავლური და პროდასავლური ძალების დისკრედიტაციაა, რითაც რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროების შენარჩუნებას ცდილობს.

რომ შევაჯამოთ, მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა, დაედგინა ბელარუსში 2020 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული რუსული დეზინფორმაციული კამპანიის მიზნები. საამისოდ, კვლევის ფარგლებში მოვიძიეთ და გავაანალიზეთ რუსული დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითები და გამოვავლინეთ ძირითადი ნარატივები. ძირითადი ნარატივების

მიხედვით, ბელარუსში განვითარებული საპროტესტო გამოსვლების უკან დასავლური ძალები დგანან, რომლებიც განგებ ცდილობენ ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზაციას. რუსეთის მამოძრავებელი მიზნების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა ჯოზეფ ნაის რბილი ძალის კონცეფცია. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთი დეზინფორმაციული კამპანიის წარმოებით დასავლური და პროდასავლური ძალების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. საკუთრივ მათი დისკრედიტაცია კი მათი რბილი ძალის შესუსტებას ემსახურება, რათა იკლოს მათ მიმართ სხვა აქტორთა პოზიტიურმა დამოკიდებულებებმა და განწყობებმა. აღნიშნულის მიზანია, რუსეთს მიეცეს შესაძლებლობა, წინ აღუდგეს დასავლეთის გავლენის გაფართოებას და ხისტი ძალის გამოუყენებლად შეძლოს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელება.

ბიბლიოგრაფია:

1. Rrusteni, A., De Wijk, R., Dunnlop, C., Perovska, J., & Parushi, L. (2019). Geopolitical Influences of External Powers in the Western Balkans. Hague Centre for Strategic Studies

2. *Europe's last dictator: The rise and (possible) fall of Alyaksandr Lukashenka*. (2020, August 9). Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/europes-last-dictator-the-rise-and-possible-fall-of-alexander-lukashenko/

3. Tardy, T. (2020). NATO and Russia in the time of Corona. Countering disinformation and supporting Allies. NATO Defense College
4. Yeliseyeu, A. (2019). Your friendly local-pro Kremlin outlet: disinformation in Belarus." Fundamental Shifts in Anti-Belarusian Disinformation and Propaganda: Analysis of Quantitative and Qualitative Changes. EAST Centre
5. Odell J. S. (2001). Case Study Methods in International Political Economy. International Studies Perspectives. 2. 161- 176

6. Monitoring of Pro-Russian Propaganda in Belarusian Media | baj.by. (2019). მოპოვებულია 15/01/21 https://baj.by/en/analytics/monitoring-pro-russian-propaganda-belarusian-media
7. EU vs DISINFORMATION. (2020). European feminists aim at destroying traditional Belarusian values through Sviatlana Tsikhanouskaya - EU vs DISINFORMATION. მოპოვებულია 15/01/21

https://euvsdisinfo.eu/report/european-feminists-aim-at-destroying-traditional-belarusian-values-through-sviatlana-tsikhanouskaya/

8. Crowcroft, O. (2020). Belarus: After 100 days, Lukashenko is still in power. Now what? მოპოვებულია 15/01/21 https://www.euronews.com/2020/11/16/it-s-a-dead-end-100-days-since-the-election-alexander-lukashenko-is-still-in-power-now-wha
9. Belarus presidential election results August 2020 | Statista. (2020). Retrieved January 24, 2021, from Statista website: https://www.statista.com/statistics/1147363/belarus-presidential-election-results/
10. The Economist. (2021, May 25). *Why Belarus is called Europe's last dictatorship*. The Economist; The Economist. https://www.economist.com/the-economist-explains/2021/05/25/why-belarus-is-called-europes-last-dictatorship
11. *JOINT MOTION FOR A RESOLUTION on the continuous violations of human rights in Belarus, in particular the murder of Raman Bandarenka*. (2020). Europa.eu. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-9-2020-0389_EN.html
12. *Channel One Russia. International broadcasting*. (2021). 1tv.com. https://eng.1tv.com/global
13. 60 минут. (2020). 60 минут по горячим следам (вечерний выпуск в 18:40) от 10.08.20 [YouTube Video]. მოპოვებულია 15/01/21 https://www.youtube.com/watch?v=vT_lVYPW1vg&t=467
14. Время покажет. Выпуск от 10.08.2020. (2020). მოპოვებულია 13/01/21 https://www.1tv.ru/shows/vremya-pokazhet/vypuski/vremya-pokazhet-vypusk-ot-10-08-2020
15. Юрий Литвиненко. (2020, April 6). *Минкомсвязи утвердило список социально значимых сайтов с бесплатным доступом*. Ведомости; Ведомости. https://www.vedomosti.ru/technology/articles/2020/04/06/827300-sotsialno
16. Sputnik на русском. (2020). Мария Захарова обвинила зарубежные страны в попытках дестабилизировать ситуацию в Беларуси [YouTube Video]. In *YouTube*. https://www.youtube.com/watch?v=bo0Fj5gtvvo
17. *Это очень дорогого стоит Что делают в Беларуси сотрудники российских государственных СМИ — и как благодаря им риторика местного ТВ стала более агрессивной — Meduza*. (2020). Meduza. https://meduza.io/feature/2020/09/11/eto-ochen-dorogogo-stoit
18. *Вы думали, что российские телеканалы решат, что в Беларуси пытаются повторить майдан? Правильно думали! Рассказываем, как они освещают исторические протесты против Лукашенко и митинг его сторонников — Meduza*. (2020). Meduza. https://meduza.io/feature/2020/08/16/vy-dumali-rossiyskie-telekanaly-uvidyat-v-sobytiyah-v-belarusi-popytku-povtorit-maydan-pravilno-dumali
19. Россия 24. (2020). Кто готовит белорусский Майдан? - Россия 24 [YouTube Video]. In *YouTube*. https://www.youtube.com/watch?v=uzLULo6Rx7E
20. Россия 24. (2020). Майдан для Лукашенко: выборы разбудили Беларусь. Что стоит учесть Украине? 60 минут от 12.08.20 [YouTube Video]. In *YouTube*. https://www.youtube.com/watch?v=0VMau0052rs
21. АТН: новости Беларуси и мира. (2020). Мнение экспертов о ситуации в Беларуси [YouTube Video]. In *YouTube*. https://www.youtube.com/watch?v=pBJooz9rRLc

22. АТН: новости Беларуси и мира. (2020). Чем обернулся майдан для Украины? Интервью главного редактора крупного издания Одессы. Главный эфир [YouTube Video]. In *YouTube*. https://www.youtube.com/watch?v=w6XAx1bSeJk

23. Ольга Тимошина. (2020). Кедми рассказал, как ошибка Запада укрепила позиции России. Федеральное агентство новостей No.1. მოპოვებულია 15/01/21 https://riafan.ru/1311753-kedmi-rasskazal-kak-oshibka-zapada-ukrepila-pozicii-rossii
24. RT на Русском. (2020, September 21). *"Единогласия в зале не было": главы МИД стран Евросоюза не смогли согласовать санкции против Белоруссии*. RT на русском; RT на Русском. https://russian.rt.com/world/article/785527-es-sankcii-belarus-soglasovanie
25. iSANS. (2020, December 21). *Кто и как на Russia Today комментировал протесты в Беларуси*. REFORM.by. https://reform.by/188745-kto-i-kak-na-russia-today-kommentiroval-protesty-v-belarusi
26. Сергей Лавров: Наши соотечественники за рубежом - не люди "без роду, без племени." (2008). Российская газета. https://rg.ru/2008/10/30/lavrov.html

27. EU strategic communication to counteract anti-EU propaganda by third parties -Wednesday, 23 November 2016. (2016). https://www.europarl.europa.eu
28. Office of the Director of National Intelligence. 2017. Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections. Washington: National Intelligence Council.
29. Nye, J. S. (2017). Information Warfare Versus Soft Power. Project Syndicate. მოპოვებულია 11/01/21 https://www.project-syndicate.org/commentary/cyber-warfare-weakens-russia-softpower-by-joseph-s--nye-2017-05
30. Jaitner, M., & Mattson, P. (2015). Russian Information Warfare of 2014. Tallinn: NATO CCD COE Publications.
31. Cour, C. (2020). Theorising digital disinformation in international relations. ResearchGate. 20/01/21 https://www.researchgate.net/publication/338914971_Theorising_digital_disinformation_in_international_relations
32. ჯულუხიძე, გ. (2018). რუსული პროპაგანდა - მიზნები, ნარატივები, აქტორები. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/104-expert-opinion-geo.pdf
33. გოცირიძე, ა. (2019). რუსული „საინფორმაციო კონფრონტაციის" ძირითადი მიმართულებები და შედეგები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/115-expert-opinion-geo.pdf

34. ბილანიშვილი, გ. (2020). *ბელარუსის საპროტესტო აქციები, ლუკაშენკო და რუსეთის ფედერაცია*. GFSIS. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1103
35. ბრაგვაძე, დ. (2020). *ლუკაშენკას შემოდგომა*. GISP. https://gisp.ge/